

THE WISDOM POETRY OF THE SPERANS¹

სპერელთა სიბრძნის პოეზია

Tina Shioshvili

Doctor of Philological Sciences,
Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Rustaveli/Ninoshvili st., #32/35, 6010, Georgia,
+995593217655, tina.shioshvili@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-4745-9260>

Tamari Matchutadze

Doctor of Philology,
Invited Teacher of Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Rustaveli/Ninoshvili st., #32/35, 6010, Georgia,
+995599799290, t.matchutadze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-5709-9764>

Abstract. In the ancient historical region of Georgia—Speri, which is now part of the Republic of Turkey—Georgian speech has not been heard for almost five centuries. Despite this, a comprehensive expedition organized by the Scientific Center of Kartvelology at the Faculty of Humanities of Batumi Shota Rustaveli State University in the summer of 2024, within the framework of the scientific fund of the Shota Rustaveli National Center, confirmed that the historical memory of the Sperans has nevertheless preserved samples of traditional folklore, including proverbs. These are variations of general Georgian proverbs and, in most cases, identical samples.

Despite the hardships of the centuries and misleading propaganda that led the Sperans to forget the native language of the Bagrationis, the genetic inclination toward the wisdom of their ancestors has not faded. Even today, Speran oral speech is nourished and enriched by folk proverbs—created through direct observation of life within the Georgian nation and passed down from generation to generation—serving as a wise legacy of the once united Kartvelian culture.

Keywords: Proverb, Speri, Bible, Folklore, Shavsheti, Klarjeti, Tao, Wisdom, Historical Memory, Chronicler.

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო საგრანტო პროექტის – „სპერი – ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ (FR-23-8916) ფარგლებში.

თინა შიოშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
 ბათუმი, რუსთაველი/ნინოშვილის ქ., #32/35, 6010, საქართველო,
 +995593217655, tina.shioshvili@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-4745-9260>

თამარ მაჭუტაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 მოწვეული მასწავლებელი,
 ბათუმი, რუსთაველი/ნინოშვილის ქ., #32/35, 6010, საქართველო,
 +995599799290, t.matchutadze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-5709-9764>

აბსტრაქტი. საქართველოს უძველეს ისტორიულ რეგიონში – სპერში, რომელიც დღეს თურქეთის რესპუბლიკის კუთვნილებაა, თითქმის ხუთი საუკუნეა, ქართული მეტყველება აღარ ისმის; მიუხედავად ამისა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო ცენტრის მიერ 2024 წლის ზაფხულში შოთა რუსთაველის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ფონდის ფარგლებში მოწყობილმა კომპლექსურმა ექსპედიციამ დაადასტურა, რომ სპერელთა ისტორიულმა მეხსიერებამ მაინც შემოინახა ტრადიციული ფოლკლორის ნიმუშები, მათ შორის – ანდაზები. რომლებიც ზოგადქართულის ვარიანტები, უმეტესად კი იდენტური ნიმუშებია.

მიუხედავად ძნელბედითი საუკუნეებისა და არასწორი აგიტაციისა, რამაც სპერელთა მეტყველებას ბაგრატიონთა მშობლიური ენა მიავიწყა, წინაპართა სიბრძნისადმი გენეტიკური სწრაფვა მაინც ვერ მოაშთო; დღემდე სპერელთა ზეპირმეტყველებას ასაზრდოებს და ალამაზებს ძველთაგან ქართველი ერის წიაღში ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვების შედეგად შექმნილი და თაობიდან თაობაზე გადმოცემული ხალხური ანდაზები – ოდინდელი ერთიანი ქართველური კულტურის მონაპოვარი ბრძნული სამომავლო საგზალი.

საკვანძო სიტყვები: ანდაზა, სპერი, ბიბლია, ფოლკლორი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სიბრძნე, ისტორიული მეხსიერება, მემკვიდრეობა.

შესავალი. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი რეგიონი, ბაგრატიონთა საგვარეულოს სამშობლო – სპერი 1578 წელს საბოლოოდ მიიტაცა ოსმალეთმა და, სამწუხაროდ, დღეს ის თურქეთის რესპუბლიკის ერზრუმის პროვინციის კუთვნილებაა. ამ მრავალჭირგამოვლილ ქართულ პროვინციაში მას შემდეგ მშობლიურ ენაზე უბნობის „დიდი ღამე“ დაიწყო... მიუხედავად ამისა, სპერელთა მეტყველებაში დღესაც იძებნება ქართული საწყისები, წინაპართა ღვთიკურთხეული სიბრძნისა და წეს-ჩვეულებების ფესვთა ნაშთები. სწორედამ, ამ იმედით შევუდექით სპერის შესწავლას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლები შოთა რუსთაველის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ფონდის კონკურსში (FR-23-8916) გამარჯვებული

პროექტის – „სპერი – ისტორიულ ფილოლოგიური გამოკვლევა“ – ფარგლებში. 2024 წლის 16–23 აგვისტოს ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის მიერ მოპოვებულმა მასალამაც დაადასტურა, რომ ამ უძველეს ქართულ რეგიონში, საბედნიეროდ, კიდევ ფეთქავს ქართული მარღვი, ქართული კულტურის მრავალწახნაგოვანი მემკვიდრეობის ამოუძირკვავი მარგალიტები.

თითქმის ხუთსაუკუნოვანი მივიწყების ბურუსში მთვლემარე ქართველური ძირების ჯიუტ ძიებაში უაღრესად დიდი დახმარება გაგვიწიეს მაღალკვალიფიციურმა აღმოსავლეთმცოდნეებმა: ბსუ პროფესორებმა ზაზა შაშიკაძემ და ლია ჭყონიამ და თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ რიზეს რეჯებ ტაიდ ერდოღანის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გულ-მუქქერემ ოზთურქმა.

მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები.

შედეგები. მიუხედავად ისტორიულ მნელბედობით გამოწვეული საბედისწერო შედეგისა, რამაც საქართველოს ერთ-ერთი უძველესი რეგიონი სპერი დედასამშობლოს მოსწყვიტა და თითქმის ხუთი საუკუნეა, ამ მხარეში ქართული მეტყველება აღარ ისმის, სპერელებს მაინც შეუნარჩუნებიათ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხის წიაღში შემუშავებული საანდაზო სიბრძნე; სპერის მოსახლეობის ცოცხალ მეტყველებაში დღესაც გაისმის ქართული ხალხური ანდაზების იდენტური ან აზრობრივად და ლექსიკურად ახლოს მდგომი ფრაზეოლოგიზმები, რაც იმის დასტურია, რომ ბრძნადმეტყველებაში ჩაქსოვილი ისტორიული მეხსიერება გამძლე გენეტიკური საუნჯეა.

მსჯელობა. ათასწლეულობითი მდუმარების მიუხედავად, სპერელთა ისტორიულ მეხსიერებას მაინც შემოუნახავს ტრადიციული ქართული ფოლკლორის სხვადასხვა ჟანრის ნიმუშები და არქაული რიტუალები; მათ შორის – ქართული ენისათვის ესოდენ დამახასიათებელ ფრაზეოლოგიზმებში გამოხატული სააზროვნო მოდელები, რაც უაღრესად ლაპიდარულ სიბრძნის პოეზიაში – ანდაზებშია ჩაქსოვილი.

ექსპედიციის მიერ სპერელთა მეტყველებაში დაფიქსირებულ ხალხურ ანდაზებს თითქმის იდენტური პარალელები ეძებნა როგორც ზოგადქართულ, ასევე, თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი სხვადასხვა ისტორიული ქართული რეგიონების ფოკლორში.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ერთობ პოპულარული ანდაზა „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხატე“ (ქართული ანდაზები და გამოცანები, 1976: 10) სპერელთა მეტყველებაში ისეთივეა, როგორიც – ზოგადქართულსა და შავშურ, კლარჯულ, ტაოურ თუ მუჰაჯირულ ვარიანტებში. ამ ბრძნული შეგონების ყველა ნიმუში სარძლოს შერჩევას გულისხმობს, რისთვისაც, ტრადიციულად, გვარსა და ჯილაგს მოიკითხავდნენ ხოლმე. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ სპერში ჩაწერილ ვარიანტებსა და შევუდარებთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაფიქსირებულ მასალას, რაც დასტურია იმისა, რომ სპერელთა ზეპირსიტყვიერებამ საუკუნეთა მანძილზე თითქმის იდენტური ლექსიკით შემოინახა წინაპართა მიერ შემუშავებული ბრძნული სენტენცია:

სპერული: „დედა ნახე, მამა ნახე, რძალი ისე მოიყვანე“; „დედა ნახე, შვილი ისე მოიყვანე“; „დედა ნახე, გოგო ისე წაიყვანე“ (ბსუქცვა, 2024);

შავშური: „ანად ნახე, დად ნახე, შვილი ნახე, მადლიაო“; „ანას შეხედე – ბაააა ითხუე, ქენერზე შეხედე, ედლე“ (შიოშვილი, 2016: 288);

კლარჯული: „დედა დეინახე, გოგო ისე მეიწონე“ (შიოშვილი, 2017: 399);

ტაოური: „ანად დეინახე და ბგანო ისე ითხოვეო“; „ანად, ალად კარგა იცნო, მემრე მისი ბგანოა ითხოვეო“; „ბაბო დეინახე, ნენე დეინახე და ისე გოგო ითხოვე“;

„დედას შეხედე, მერე – შვილსაო“ (შიოშვილი, 2022ა: 271);

მუჰაჯირული: „დედას უნდა შეხედო, ციცაბო ითხოვო“ (შიოშვილი, 2024: 495); ნენეს'ნა შეხედო, გოგო ისე ითხოო“ (შიოშვილი, 2024: 497).

წინდახედულობა, ყაირათიანობა, გეგმაზომიერება ყველა ხალხის ყოფა-ცხოვრების ბრძნულად წარმმართველი თვისებაა და, ბუნებრივია, ქართულმა ხალხურმა ანდაზამაც მშვენიერი ლაპიდარული ფორმით გადმოსცა ჩვენი ხალხის მიერ შემუშავებული სენტენცია: „ფეხი იმხელაზე უნდა გაწვადო, სანამდისაც შენი საბანი გაწვდებაო“ (ჩხარტიშვილი, 2021: 82); „ფეხი იქამდე გაჭიმე, სადამდისაც საბანი გაგწვდესო“ (ხალხური სიბრძნე, 1965: 169) და სხვა. ეს ანდაზა სპერელთა მეტყველებაშიც იდენტურად გამოითქმის: „ფეხი საბნის სიგრძის მიხედვით გაშალე“ (ბსუქცვა, 2024).

ბიბლიური სიბრძნე – „ბრძნად მეტყველება ვერცხლია, ხოლო დუმილი ოქროა რჩეული“ – კარგად გაითავისა ჩვენმა ხალხმა და მშვენივრად ჩააქსოვა თვის სიბრძნის პოეზიაში, მეტიც – უაზროდ წამოსროლილი სიტყვა გასროლილ ისარს შეუდარა: „ისარს და სიტყვას გასტყორცნი, არ დაბრუნდება“ (მაჭუტაძე & შიოშვილი, 2023: 111); „გასროლილი ისარი უკან არ დაბრუნდებაო“ (ჩხარტიშვილი, 2021: 21). ეს დიდებული პარემია სპერის ზეპირსიტყვიერებაშიც იდენტურად ჟღერს: „გასროლილი ისარი უკან არ დაბრუნდება“ (ბსუქცვა, 2024).

შეუცნობელის შეცნობის უაღრესად ადამიანური წადილი, რამაც კაცობრიობის შორეულ წინაპრებს სამოთხეც კი დააკარგვინა, ერთის მხრივ პროგრესიც არის, მაგრამ ქართული ხალხური პარემიული სიბრძნე აქაც ზომიერებასა და წინდახედულობას გვთავაზობს; ამის დასტურია ანდაზები: „მეტისმეტი – თავში რეტიო“; „მეტისმეტი – რეტისრეტიო“ (ჩხარტიშვილი, 2021: 55); „მეტისმეტის მაძიებელი მოკვდა გაუხარებელიო“ (ქართული ანდაზები და გამოცანები, 1991: 46); „ბევრის მდომმა ცოტაც დაკარგაო“ (ხალხური სიბრძნე, 1965: 40). ეს დიდაქტიზმი თითქმის იდენტურად შემოინახა სპერულმა ზეპირსიტყვიერებამაც: „ზედმეტი ცნობისმოყვარეობა ბელას მოიტანსო“ (ბსუქცვა, 2024). აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ანდაზისეულ სიბრძნეს დიდებულად იყენებს დავით გურამიშვილი „სწავლა მოსწავლეთა“– ში: „უგვანათ დიდთა მძებნელთა პატარაც დაეკარგება“ (გურამიშვილი, 1964: 26), რაც ხაზს უსვამს ამ პარემიის არქაულობას.

ქართული ხალხური სიბრძნის პოეზია გვასწავლის, რომ ადამიანს საკუთარი მონაგარის იმედი უნდა ჰქონდეს: „სხვის ცხენზე შემჯდომი მალე ჩამოხტებაო“ (ხალხური სიბრძნე, 1965: 160), „ნათხოვარი ცხენიდან მალე ჩამოხტებიო“ (ქართული ანდაზები და გამოცანები, 1976: 16). სპერელთა საანდაზო მეტყველებაშიც, ზოგადქართულის მსგავსად, დაგმობილია ადამიანთა სიხარბე, სხვათა ქონებაზე თვალის დაჭერა, რაც გამოხატულია ანდაზით: „სხვის ცხენზე რომ დაჯდები, მალე ჩამოხვალო“ (ბსუქცვა, 2024).

კლარჯელებმა ეს შეგონება ამგვარად გამოხატეს: „სხვის ვირზე რომ შეჯდები, მალე ჩამოხვალო“ (შიოშვილი, 2017: 400); ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებიც ამ ანდაზით მოძღვრავენ შთამომავლობას: „სხვის ცხენზე რომ შეჯდები, სოფლის შუაში ჩამოხვალო“; „სხვის ვირზე რომენ შეჯდები, მალე ჩამოხვალო“ (შიოშვილი, 2024: 498).

ზოგადქართულში და, ამავე დროს, კლარჯულსა და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაში ძალზე პოპულარული ანდაზა „ავიფურთხე – ულვაშს მოხვდა, დავიფურთხე – წვერებსაო“ (ჩხარტიშვილი, 2021: 11) სპერელთა ზეპირმეტყველებაში სიტყვასიტყვით ასე ჟღერს: „ქვევით დავიფურთხე – წვერია, ზევით ავიფურთხე – ულვაში“ (ბსუქცვა, 2024). ეს უაღრესად შთამბეჭდავი პარემია ძალზე პოპულარულია კლარჯელ ქართველთა მეტყველებაშიც: „ევფურტნე – ბუფდას მოხვდა, დევფურტნე – წვერსაო“ (შიოშვილი, 2017: 399); ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებშიც ეს ანდაზა იდენტურად გამოითქმის (შიოშვილი, 2024: 495).

ქართული ხალხური საანდაზო სიბრძნე გმობს მანკიერების ისეთ გამოვლინებას, როგორიც არის ცრუპენტელობა, მზვაობარობა და პირუთვნელად, შეულამაზებლად

ამხელს მკვებარა, უმაქნის ადამიანს. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ არის გავრცელებული ანდაზა მზვობარ ყორანზე, რომელიც თეთრი კვერცხის დადებაზე ოცნებობს: „ყორანმა თქვა: აქ ვარ გონჯი და აქ ვდებ შავ კვერცხს, თვარა წყალს გაღმა რომ გავალ, თეთრ კვერცხს დავდებო“ (ქართული ანდაზები და გამოცანები, 1976: 22); „ყორანმა თქვა: აქ ვარ შავი და აქ ვდებ შავ კვერცხს, თორემ წყალგაღმა რომ გავალ თეთრ კვერცხს დავდებო“ (ხალხური სიბრძნე, 1965: 165). ამ ანდაზას კარგად იცნობს კლარჯული ფოლკლორიც: „ყორან უთქმია, გაღმაში გევაღ, თეთრ კვერცხ დავდებო“ (შიომვილი, 2017: 400); მკვებარა ყორანზე გამოთქმული ანდაზები მრავლად ჩავიწერეთ თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებშიც: „ყორან უთქმია, გაღმა თუ გეველი, თეთრი კვერცხი დავდო'ნაო“; „ყორან უთქმია, გაღმაში გევდოდე, თეთრ კვერცხ დავდეფო“; „ყორანსაო უთხრობიაო, აქზე შავ კვერცხ ვდეფ, იქზე გავალ, თეთრ დავდეფო“ და სხვა (შიომვილი, 2024: 499).

საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ესოდენ პოპულარული ანდაზა კარგად შემოუნახავს სპერელთა ისტორიულ მეხსიერებასაც: „ყორანმა თქვა, გაღმა გავალ და თეთრ კვერცხს დავდებო“ (ბსუქცვა, 2024).

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ ანდაზათა ევოლუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტალზეც: გარდა იმისა, რომ საანდაზო სიბრძნეს გენეტიკური კავშირი აქვს როგორც სიტყვის მასალასთან და საანდაზო ლექსებთან, მისეული სიბრძნე ხშირად განშლა–გაფართოებისაკენ მიისწრაფვის, რის შედეგადაც ვიღებთ ხალხურ ნაკვესს, იგივე მახვილსიტყვაობას, რასაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს ანდაზათა იგავური ბუნება, აზრის გადატანითი მნიშვნელობა...“ (შიომვილი, 2022ბ: 570). ამგვარი ევოლუცია განიცადა გულზვიად ყორანზე შექმნილმა ანდაზამაც, რაც სპერელ მეტყველებამიც დადასტურდა და, თანაც – ორიგინალური დასკვნით. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ზოგადქართულს, ისტორიული ქართული კუთხეებისა და მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორში მახვილსიტყვაობად ჩამოქნილი ამ ანდაზის გავრცობილ ნიმუშებს:

სპერელი: „ყორანმა თქვა: აქ შავ კვერცხს ვდებო, გაღმა გავალ და თეთრ კვერცხს დავდებო. მიიხედ–მოიხედა და, რომ ნახა, ახლო–მახლო არავინ იყო, თქვა: რა მნიშვნელობა აქვს, სად წავალ, ჩემი უკანალი იქაც ჩემი არააო?“ (ბსუქცვა, 2024);

კლარჯული: „ყორანმა თქვაო, გაღმა'ნა გევდეო, თეთრი'ნა დავდევაო. გასულა ქი, თეთრი არა და შავი ქნილაო“ (შიომვილი, 2017: 400);

მუჰაჯირული: „ყორანს, გაღმაში გევდოდე, თეთრ კვერცხ დავდეფო, უთქმია; გაღმა გასულა, კვეცხი დუუდვია, კიდე შავი ყოფილა!“ (შიომვილი, 2024: 499).

აღსანიშნავია, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ცრუპენტელაა ყვავიც ყორანივით ამაოდ იკვებნის, ზღვას გაღმა თეთრ კვერცხს დავდებო, თუმცა ამაოა მისი ოცნებაც, ხოლო მოკლე, ლაპიდარული საანდაზო შეგონება აქაც დიდაქტიკურად არის შეჯამებული და ნაკვესად გადაქცეული: „ყვავმა თქვა: შავ ზღვაზე რომ გადავფრინდები, იქ თოვლივით თეთრ კვერცხებს დავდებო, მაგრამ რომ გადავფრინდა, იქაც შავი დადოო“ (ხალხური სიბრძნე, 1965: 321).

ხალხური ანდაზა, რომელიც სრულიად ბუნებრივად, ლაღად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ჩაწულია ერის ცნობიერებაში, მისი შემოქმედი ხალხის ცხოვრების თანამედროვე ტრიბუნიც არის, წარსულის მემკვიდრეა და მომავლის წინამორბედიც; ეს ბრძნული შეგონებანი უპირველესი მწვრთნელია ხალხის ზნეობისა, ხოლო მათი ფესვები შორეულ წარსულშია დასაძებნი. მიუხედავად იმისა, რომ ძნელბედითმა საუკუნეებმა, ასიმილაციის მიზნით წარმოებულმა არასწორმა აგიტაციამ სპერელთა მეტყველებას ბაგრატიონთა მშობლიური ენა მიავიწყა, მაგრამ გენეტიკური სწრაფვა წინაპართა ბრძნულმეტყველებისადმი მაინც ვერ მოაშთო, - თაობიდან თაობას გადმოეცა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე ბრძნული შეგონებები;

ბუნებრივია, სპერელთა ისტორიულ მეხსიერებაში შემორჩენილი ანდაზებიც ამ პოზიციიდან უნდა შეფასდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბსუქცფა. (2024). *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ფოლკლორული არქივი*.
 გურამიშვილი, დ. (1964). *დავითიანი*. თბილისი.
 მაჭუტაძე, თ., & შიოშვილი, თ. (2023). *ქართული და ფრანგული ანდაზები*. ბათუმი.
ქართული ანდაზები და გამოცანები. (1976). ბათუმი.
ქართული ანდაზები და გამოცანები. (1991). თბილისი.
 შიოშვილი, თ. (2016). *შავშური ფოლკლორი*. ბათუმი.
 შიოშვილი, თ. (2017). *კლარჯული ფოლკლორი*. თბილისი.
 შიოშვილი, თ. (2022)ა. *ტაოური ფოლკლორი*. ბათუმი.
 შიოშვილი, თ. (2022)ბ. *ქართული ზეპირსიტყვიერება*. ბათუმი.
 შიოშვილი, თ. (2024). *ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორი*. ბათუმი.
ხალხური სიბრძნე. (1965). ტ. 5. თბილისი.
 ჩხარტიშვილი, ნ. (2021). *ანდაზა მითხარ, ძმობილო...* ბათუმი.

REFERENCES

- bsuktspa (BSUQCFA). (2024). *batumis shota rustavelis sakhelmts'ipo universit'et'is humanit'arul metsnierebata pak'ult'et'is kartvelologiis sametsniero tsent'ris polk'loruli arkivi [Archive of Batumi Shota Rustaveli State University Faculty of Humanities Centre for Kartvelian studies]*.
 guramishvili, d. (1964). *davitiani [Guramishvilies poetry]*. Tbilisi.
 mach'ut'adze, t., & shioshvili, t. (2023). *kartuli da pranguli andazebi [Proverbs Georgiens and Franjais]*. Batumi.
kartuli andazebi da gamotsanebi [Georgian proverbs and sayings]. (1976). Batumi.
kartuli andazebi da gamotsanebi [Georgian proverbs and sayings]. (1991). Tbilisi.
 shioshvili, t. (2016). *shavshuri polk'lori [Shavshian folklore]*. Batumi.
 shioshvili, t. (2017). *k'larjuli polk'lori [Klargian folklore]*. Tbilisi.
 shioshvili, t. (2022)ა. *t'aouri polk'lori [Taoian folklore]*. Batumi.
 shioshvili, t. (2022)ბ. *kartuli zep'irsit'qviereba [Georgian folklore]*. Batumi.
 shioshvili, t. (2024). *kartvel muhajirta shtamomavlebis polk'lori [Folklore of the descendants of the georgian muhajirs]*. Batumi.
khalkhuri sibrdzne [People's wisdom]. (1965). Vol. 5. Tbilisi.
 chkhart'ishvili, n. (2021). *andaza mitkhar, dzmobilo... [Say proverb, brother...]*. Batumi.